ლგბტი ადამიანების უფლებები

ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებების
აღსრულების დეპარტამენტი

DG1

თემატური საინფორმაციო ფურცელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე შესრულდა ინგლისურ ენაზე არსებული ორიგინალური ტექსტის საფუძველზე. ეს თარგმანი გამოქვეყნებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტთან (DEJ) შეთანხმებით, თუმცა თარგმანზე სრული პასუხისმგებლობა ენიჭება თარჯიმანს და არ ავალდებულებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტს (DEJ). ტექსტის თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

2021 წლის სექტემბერი

ლგბტი ადამიანების უფლებები

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია მხოლოდ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტის პასუხისმგებლობით და არ აქვს მბოჭავი ძალა მინისტრთა კომიტეტისთვის.

1. ჰომოსექსუალური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია 4

1.1. ჰომოსექსუალური ურთიერთობები ზრდასრულ კაცებს შორის 4

1.2. სისხლის სამართალში, მოზარდებთან ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური ქმედებების უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა 6

2. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება 7

3. გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება 10

4. სოციალურ უფლებებზე წვდომა ლგბტი პირებისთვის 14

5. ჰომოსექსუალი პირები შეიარაღებულ ძალებში 15

6. ერთნაირსქესიანი წყვილები და სამოქალაქო კავშირის შესახებ კანონები 16

7. საცხოვრებელის და კერძო და ოჯახური ცხოვრების უფლება 17

8. შვილად აყვანის უფლება 18

9. მშობლის უფლებამოსილება და ბავშვების მეურვეობა 19

10. ბავშვის ალიმენტი 20

11. ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით გადაცემა 21

საქმეთა ინდექსი 22

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი „ფუნდამენტურია“ და საფუძვლად უდევს კონვენციას, სამართლის უზენაესობასთან, ტოლერანტობისა და მშვიდობის ღირებულებებთან ერთად. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) ადამიანები მრავალი საუკუნის მანძილზე და დღესაც განიცდიან ჰომოფობიას, ტრანსფობიას და სხვა სახის შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციას (მათ შორის კრიმინალიზაციას, მარგინალიზაციას, სოციალური გარიყულობას და ძალადობას), მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე. ამის გამო, სახელმწიფოები ვალდებულები არიან, მიიღონ ზომები, რათა აღნიშნულმა პირებმა ადამიანის უფლებებით სრულფასოვნად შეძლონ სარგებლობა.[1]

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი აღწერს ზოგადი და ინდივიდუალური ღონისძიებების მაგალითებს, რომლებიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტში მიიღეს და ანგარიშგების ფარგლებში წარმოადგინეს სახელმწიფოებმა, ლგბტი პირების უფლებების დასაცავად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მათ შორისაა: ერთნაირსქესიან ადამიანებს შორის ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება, ლგბტი პირებისთვის სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა, ერთნაირსქესიანი ადამიანების მსახური შეიარაღებულ ძალებში, ერთნაირსქესიანი წყვილები და სამოქალაქო კავშირის შესახებ კანონები, ბინადრობისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, შვილად აყვანის უფლება, მშობლობის უფლება და ბავშვებზე მეურვეობა, ალიმენტთან დაკავშირებული მოვალეობები და ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით მიღება.

[1] იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

1. ჰომოსექსუალური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია

1.1. ჰომოსექსუალური ურთიერთობები ზრდასრულ კაცებს შორის

საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განმარტავს „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის“ ცნებას და ასაკობრივ ზღვარს თანხმობაზე დაფუძნებული ჰომოსექსუალური ურთიერთობებისთვის

კვიპროსი / Modinos (15070/89)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 22/04/1993

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2001)152

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ისეთი კანონმდებლობის არსებობის გამო, რომელიც გარკვეული ჰომოსექსუალური ქმედებების კრიმინალიზებას ახდენს. მომჩივანი იყო ჰომოსექსუალი კაცი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა მეორე ზრდასრულ კაცთან, რომელიც იყო „კვიპროსის ჰომოსექსუალური გამათავისუფლებელი მოძრაობის“ თავმჯდომარე. იგი აცხადებდა, რომ კანონმდებლობა, რომელიც გარკვეული ჰომოსექსუალური ქმედებების კრიმინალიზებას ახდენდა, მნიშვნელოვანი დაძაბულობისა და სამართლებრივი დევნის შესახებ შიშის წყაროს წარმოადგენდა.

1998 წლის კანონისა და 2000 წლის შესწორების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ახალი კოდექსის თანახმად, სექსუალური კავშირი კაცებს შორის დანაშაულია, რომელიც ისჯება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით იმ შემთხვევაში, თუ ქმედება ჩადენილი იქნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ან ჩადენის ადგილის მიუხედავად, თუ ერთ-ერთი პირი 18 წლამდე ასაკისაა. ამას გარდა, სექსუალური კავშირი კაცებს შორის ისჯება შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთით, თუ ქმედება ჩადენილია დამოკიდებულებითი ურთიერთობის კონტექსტში, რომელიც მომდინარეობს ნებისმიერი სახის მომსახურებიდან, სრულწლოვანი პირის მიერ 18 წლამდე პირის შეცდენის შემთხვევაში, ან თუ ეს ქმედება ეკონომიკური ან კომერციული მიზნებისთვის არის ჩადენილი. ტერმინი „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი“ აღნიშნავს ადგილს, რომელიც საზოგადოების თვალთახედვის არეშია, ან რომელზე წვდომის უფლებაც აქვს საზოგადოებას, გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე.

სისხლის სამართალში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ეხება ჰომოსექსუალურ ქმედებებს კერძო სივრცეში, ორ კაცს შორის, ურთიერთთანხმობის საფუძველზე

ირლანდია / Norris (10581/83)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/10/1988

საბოლოო რეზოლუცია: DH(93)62

მას შემდეგ, რახ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის ფაქტი, ისეთი კანონმდებლობის არსებობის გამო, რომელიც კრძალავს მამაკაცთა ჰომოსექსუალურ ქმედებებს, *სქესობრივი დანაშაულების შესახებ 1993 წლის აქტის საფუძველზე* განხორციელდა ცვლილება ჰომოსექსუალური ქმედებების შესახებ სისხლის სამართალში. აქტის ძალაში შესვლის შემდეგ, ჰომოსექსუალური ქმედებები, რომლებიც ნებაყოფლობითია და რომელსაც ადგილი აქვს კაცებს შორის, ხოლო მათი ასაკი აღემატება 17 წელს და ისინი არიან ქმედუნარიანები, აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

ურთიერთთანხმობის საფუძველზე, ორ სრულწლოვან პირს შორის ჰომოსექსუალური ქმედებების დეკრიმინალიზაცია

გაერთიანებული სამეფო / Dudgeon (7525/76)

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 22/10/1981

საბოლოო რეზოლუცია: DH(83)13

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა ჩრდ. ირლანდიაში მოქმედი კანონმდებლობის გამო, რომელიც ახდენს კაცებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზაციას. მომჩივანი, რომელიც ჰომოსექსუალი იყო, აცხადებდა, რომ მან განიცადა შიში, ტანჯვა და შფოთვა ამ კანონების არსებობის შედეგად, მათ შორის, ბულინგისა და შანტაჟის შიში. მან დამატებით განმარტა, რომ დაექვემდებარა გამოძიებას გარკვეულ ჰომოსექსუალურ აქტივობებთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, 1982 წლის ჩრდილოეთ ირლანდიის ჰომოსექსუალური დანაშაულების შესახებ ბრძანების საფუძველზე კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები. შედეგად, ორ სრულწლოვან პირის შორის ურთიერთთანხმობის საფუძველზე ჰომოსექსუალური ქმედებები აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

იმ სამართლებრივი დებულებების გაუქმება, რომლებიც ახდენს კერძო სივრცეში რამდენიმე კაცს შორის, ურთიერთთანხმობის საფუძველზე, ჰომოსექსუალური ქმედებების კრიმინალიზებას

გაერთიანებული სამეფო / A. D. T. (35765/97)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 31/10/2000

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2010)118

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა იმის გამო, რომ მომჩივანი გაასამართლეს სქესობრივი ძალადობის ბრალდებით, ჰომოსექსუალური ქმედებების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მომჩივნის სახლში, ურთიერთთანხმობის საფუძველზე. იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მას მიესაჯა ორი წელი თავისუფლების აღკვეთა, რის შემდეგაც პირობითი ვადით გათავისუფლდა. მის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა ჩხრეკა, რომლის დროსაც ამოიღეს და გაანადგურეს გარკვეული ნივთები.

2003 წლის კანონი ძალაში შევიდა 2004 წელს. მან გააუქმა ყველა ის დებულება, რომლის საფუძველზეც მომჩივანი გაასამართლეს, მათ შორის 1956 წლის სექსუალური დანაშაულების შესახებ კანონის მუხლები, რომლებიც ეხებოდა გარყვნილებას და სქესობრივ ძალადობას, ასევე, 1967 წლის სექსუალური დანაშაულების შესახებ კანონის ერთ-ერთი მუხლი. ახალი კანონი ყურადღებას ამახვილებს თანხმობის კონცეფციაზე და აღარ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ დანაშაულს კერძო სივრცეში, ურთიერთთანხმობის საფუძველზე, სრულწლოვან პირებს შორის ჰომოსექსუალურ ქმედებებთან დაკავშირებით.

1.2. სისხლის სამართალში, მოზარდებთან ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური ქმედებების უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა

იმ სისხლის სამართლის დებულების გაუქმება, რომელიც ახდენს ურთიერთთანხმობის საფუძველზე 14 წელს ზემოთ ზრდასრულ მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზებას

ავსტრია / L. და V. (39392/98)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი 09/04/2003](#)

და S.L. (45330/99)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 09/04/2003](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2007)111](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლების დარღვევა, ვინაიდან მომჩივნები გაასამართლეს 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცებთან ჰომოსექსუალური ურთიერთობის დამყარებისთვის, 1980-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე პერიოდში. სისხლის სამართალი ახდენდა ზრდასრულ მამაკაცსა და ახალგაზრდა (14-დან 18 წლამდე) მამაკაცს შორის სქესობრივი ურთიერთობების კრიმინალიზებას, თუმცა, არ ახდენდა ზრდასრულ მამაკაცსა და 14-დან 18 წლამდე გოგონებს შორის სქესობრივი ურთიერთობების კრიმინალიზებას.

ამ დარღვევის გამოსწორების და მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსის დებულება, რომელიც დისკრიმინაციულად იქნა მიჩნეული, გაუქმდა 2002 წელს. *L.* და *V.*-ს საქმეში მომჩივანებს მიეცათ შესაძლებლობა, მოეთხოვათ საქმის ხელახალი განხილვა, რათა მომხდარიყო მათი ნასამართლობის გაქარწყლება.

ჰომოსექსუალური და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობისთვის თანხმობის ასაკის (სრულწლოვანების) შესახებ კანონში ცვლილების შეტანა

გაერთიანებული სამეფო / B.B. (53760/00)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 07/07/2004](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2005)99](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლების დარღვევა, რომელიც უკავშირდებოდა მომჩივანის გასამართლებას 16 წლის ბიჭთან ჰომოსექსუალური ურთიერთობის გამო. იმ დროისთვის (1998-1999 წლებში) მოქმედი სექსუალური დანაშაულების შესახებ კანონმდებლობა ახდენდა 18 წლამდე ასაკის მამაკაცთან ჰომოსექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზებას, მაშინ როცა ჰეტეროსექსუალური ურთიერთობისთვის თანხმობის ასაკი 16 წელი იყო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სქესობრივი დანაშაულების შესახებ 2000 წლის კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის შედეგადაც ჰომოსექსუალური და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობებისთვის თანხმობის ასაკი გათანაბრდა.

---

2. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებების ადეკვატურობისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები

საქართველო / „იდენტობა და სხვები“ (73235/12)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/08/2015

ანგარიში ქმედებების შესახებ

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3, მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევა თბილისში, 2012 წლის მაისში ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალადობრივად ჩაშლის გამო. კერძოდ, დემონსტრაცია ძალადობრივად ჩაშალეს კონტრაქციის მონაწილეებმა, რომელთა რაოდენობაც აჭარბებდა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დემონსტრანტთა დაცვა და არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება, რომელიც თავდასხმის დისკრიმინაციული მოტივის დადგენას გახდიდა შესაძლებელს. გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა ვერ მიიღეს საჭირო ზომები, რათა უზრუნველეყოთ დემონსტრაციის მშვიდობიანი მიმდინარეობა.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, რომელიც მიმდინარე პროცესია, ხელისუფლება ყურადღებას ამახვილებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მონიტორინგის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, შეიქმნა სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლების ჯგუფები, ასევე, ჩატარდა ტრენინგები გამომძიებლებისთვის, პროკურორებისთვისა და მოსამართლეებისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხზე, ევროპის საბჭოს "HELP" პროგრამის მიხედვით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა საქართველოში“ – ფარგლებში, მუდმივად იხვეწება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვის მეთოდოლოგია.

დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკანონმდებლო ზომები და სასწავლო აქტივობები

მოლდოვა / Genderdoc-M (9106/06)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/09/2012

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2019)239

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების დარღვევა, იმ დემონსტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელსაც მომჩივანი ასოციაცია გეგმავდა 2005 წლის მაისში, სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ კანონების მიღების მხარდასაჭერად. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა ასოციაციამ ვერ ისარგებლა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით ეროვნულ დონეზე, შეკრების თავისუფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

2008 წლის მიღებული იქნა საზოგადოებრივი შეკრებების შესახებ კანონი. შედეგად, ეროვნულ სასამართლოებს მიენიჭათ დემონსტრაციების ორგანიზებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის უფლებამოსილება, ხოლო გადაწყვეტილება დაგეგმილი ღონისძიების თარიღამდე უნდა იქნას მიღებული. 2013 წელს მიღებული იქნა ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელმაც დაადგინა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების შესაფასებლად შესაბამისი პროცედურები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. ამასთან, შეიქმნა ანტიდისკრიმინაციული საბჭო, რომელსაც კვაზი-სასამართლო და საგამოძიებო უფლებამოსილებები მიენიჭა.

მოსამართლეების, პროკურორების, სასამართლო კლერკებისა და მოსამართლეთა ასისტენტებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსები დისკრიმინაციის აკრძალვაზე და

თანასწორობაზე, რისი მიზანიც იყო მათი აღჭურვა ახალი უნარებითა და კომპეტენციებით, იმისათვის, რომ მათ შეძლონ დისკრიმინაციის შესახებ საქმეებზე მუშაობა. აღნიშნული კურსები ორგანიზებული იქნა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და პრევენციის ძალისხმევის მხარდაჭერა მოლდოვაში“ ფარგლებში.

იმ კანონების არაკონსტიტუციურობა, რომელიც მარშისთვის ნებართვას მიღების მოთხოვნას ადგენს

ჰოლონეთი / Baczkowski and others (1543/06)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 24/09/2007

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2015)234

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების დარღვევა, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ გასცა ნებართვა პარადის ჩასატარებლად, რომელიც ემსახურებოდა უმცირესობების, ქალების და შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზანს. მომჩივნები, თანასწორობის ფონდი (Fundacja Równości) და მისი ხუთი წევრი გეების უფლებების შესახებ ატარებდნენ კამპანიას. საბოლოო ჯამში, მარში ჩატარდა, თუმცა, ისე, რომ ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს დაგეგმილ თარიღამდე ნებართვის ან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულს შესაძლოა ჰქონოდა შემაკავებელი ეფექტი - კერძოდ, ადამიანებმა სავარაუდოდ თავი შეიკავეს დემონსტრაციაში მონაწილეობისგან.

2006 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა 1997 წლის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის ის დებულებები, რომლებიც შეკრებების ორგანიზატორებს ავალდებულებდა წინასწარი ნებართვის მიღებას, თუ შეკრება გზის მოძრაობას შეუშლის ხელს. შედეგად, აღარ არის სავალდებულო ნებართვის მიღება მარშის/პარადის ორგანიზებისთვის. 2014 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილება მიიღო შეკრების უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამებოდა ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. 2015 წლის კანონის საფუძველზე, ამოქმედდა გასაჩივრების პროცედურა შეკრების ჩატარებაზე უარის შემთხვევებში. ხელისუფლებას დაგეგმილი შეკრების შესახებ უნდა ეცნობოს ღონისძიებამდე 30-დან 6 დღემდე პერიოდში. მუნიციპალურმა ორგანოებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ დაგეგმილ თარიღამდე მინიმუმ 96 საათით ადრე. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია რეგიონულ სასამართლოში, რომელიც ვალდებულია, გადაწყვეტილება 24 საათში მიიღოს. რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

სისხლის სამართლის სანქციები საჯარო მოხელეთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის და სიძულვილის და დისკრიმინაციის წახალისებისთვის

რუმინეთი / M.C. და A.C. (12060/12)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/07/2016

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

2006 წელს, ბუქარესტში ყოველწლიურ ლგბტი მარშში მონაწილე მომჩივანები დაექვემდებარნენ ჯგუფურ ძალადობას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-4 და მე-14 მუხლების დარღვევა, რადგან მოვლენების გამოძიება შესაბამისი ორგანოების მიერ არაეფექტური იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება გაჭიანურდა, აღინიშნა სერიოზული ხარვეზები და არ ყოფილა შესაძლო ჰომოფობიური მოტივი გათვალისწინებული.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისგან დაცვის განმტკიცების და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, 2006 წლიდან სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დასჯადია სიძულვილსა და დისკრიმინაციის წაქეზება და საჯარო მოხელეების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. კოდექსი, ასევე, ადგენს, რომ დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივი (მათ შორის, სექსუალური ორიენტაცია) წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას, რაც ხელისუფლებას ავალდებულებს, ასეთი შემთხვევები საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) გამოიძიოს.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული კანონმდებლობა განამტკიცებს ამ სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს და ითვალისწინებს სანქციას სხვადასხვა დისკრიმინაციული ქმედებებისთვის, თუ მათ სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულად არ მიიჩნევს.

პრეცედენტული სამართალი, რომელიც აბალანსებს გამოხატვის თავისუფლებას და რეპუტაციის დაცვის უფლებას, ჰომოსექსუალთა ნეგატიური სტერეოტიპების შესახებ საჯარო დებატების კონტექსტში

სლოვენია / Mladina D.D. Ljubljana (20981/10)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 17/07/2014

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2017)111

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივანი საგამომცემლო კომპანიის მიმართ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა კომპანიას დააკისრეს პარლამენტის წევრისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სტატიაში მისი შეურაცხყოფის გამო. სტატია, რომელიც მომჩივანი კომპანიის კუთვნილ ჟურნალში გამოქვეყნდა 2005 წელს, ეხებოდა პარლამენტში გამართულ დებატებს ჰომოსექსუალური ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების შესახებ.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტატია არ წარმოადგენდა უსაფუძვლო პირად თავდასხმას პარლამენტარის მიმართ, არამედ იგი იყო პასუხი მის საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებზე. კერძოდ, პარლამენტარის ქცევა შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც ჰომოსექსუალების დაცინვის და მათ შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების გავრცელების მცდელობა. 2014 წლის მაისში, მსგავს საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ, ევროპული სასამართლოს მიგნებებზე დაყრდნობით, შეცვალა საკუთარი პრაქტიკა და უზრუნველყო სამართლიანი ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის დაცვის უფლებას შორის. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე დაუბრუნა ქვედა ინსტანციის მოსამართლეს, რათა მას მიეღო ახალი გადაწყვეტილება, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება

სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ადგენს პირის გენდერული იდენტობის შესაბამისად სამოქალაქო სტატუსის აღიარების ვალდებულებას

საფრანგეთი / B. (13343/87)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 25/03/1992

საბოლოო რეზოლუცია: DH(93)52

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივანის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, მომჩივანი, რომელიც ტრანსგენდერი ქალი იყო, აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა მისი ნამდვილი გენდერული იდენტობის აღიარებაზე და არ დაუკმაყოფილა სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესის შეცვლის მოთხოვნა. 1992 წელს საკასაციო სასამართლომ მიიღო ორი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რათა მსგავსი შემთხვევების განმეორება აეცილებინა თავიდან. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ დაადგინა, რომ თუ ტრანსგენდერი პირი აღარ ფლობს თავდაპირველი სქესის ყველა მახასიათებელს და მისი ფიზიკური იერი უფრო მიესადაგება იმ სქესს, რომელსაც მისი სოციალური ქცევაც შეესაბამება, მაშინ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული უნდა იქნას ის სქესი, რომლის შესაბამისი გარეგნობაც აქვს პირს; ამასთან, პიროვნების სტატუსის უცვლელობის პრინციპი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ასეთი ცვლილებისთვის.“

ახალი კანონი ტრანსგენდერ ადამიანებს აძლევს საშუალებას, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესი და სახელი შეცვალონ მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად, რისთვისაც ისინი არ არიან ვალდებულნი, წარმოადგინონ შეუქცევადი სამედიცინო ან ქირურგიული მკურნალობის დამადასტურებელი მტკიცებულება

საფრანგეთი / A.P., Garçon et Nicot (79885/12)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 06/07/2017

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2018)179

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ 2009-2013 წლებში დაბადების მოწმობებში მომჩივანთა სქესის ცვლილებაზე უარის თქმა—იმ მოტივით, რომ მათ ვერ წარმოადგინეს გარეგნული ტრანსფორმაციის შეუქცევადობის დამადასტურებელი მტკიცებულება —კონვენციის დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული მოთხოვნა ზიანს აყენებდა ტრანსგენდერი პირების ფიზიკურ ხელშეუხებლობას და წარმოადგენდა მათ პირად ცხოვრებაში არაპროპორციულ ჩარევას, რადგან იგი მოიცავდა ოპერაციას ან სამედიცინო მკურნალობას, სტერილიზაციის უაღრესად მაღალი ალბათობით.

დარღვევის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად, ერთ-ერთმა მომჩივანმა შეძლო სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანა, მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, 2016 წლის "სამართლის მოდერნიზაციის აქტით" და 2017 წლის დამატებითი დადგენილებით შეიცვალა ტრანსგენდერი პირების მიერ საკუთარი იდენტობის აღიარებისა და სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესისა და სახელის შეცვლის წესები. ამ ცვლილებების შედეგად, თუ ტრანსგენდერი პირი მოახდენს დემონსტრირებას, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული სქესი არ შეესაბამება სქესს, რომლითაც იგი აღიქმება და წარმოჩინდება საზოგადოებაში, შესაძლებელი ხდება მონაცემების შეცვლა. ამასთან, უარი არ შეიძლება დაეფუძნოს იმ გარემოებას, რომ მათ არ გაუვლიათ სამედიცინო მკურნალობა, ქირურგიული ჩარევა ან სტერილიზაცია.

პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ სქესის შეცვლის ოპერაცია აღარ არის საჭირო სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესის ჩანაწერის ცვლილებისთვის

იტალია/ S.V. (55216/08)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 11/01/2019

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2020)131

ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა იტალიის შესაბამისი ორგანოების უარს, ტრანსგენდერი ქალისთვის მიეცათ სახელის ცვლილების შესაძლებლობა, იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა ჩატარებული სქესის შეცვლის ქირურგიული პროცედურა და არ არსებობდა სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მომჩივნის მიერ ოპერაციის ჩატარებას დაადასტურებდა. 2001 წელს, რომის სამოქალაქო საქმეების განმხილველმა სასამართლომ მომჩივანს ნება დართო, ჩაეტარებინა სქესის შეცვლის ოპერაცია. თუმცა, 2003 წელს მომჩივანს მოუწია ლოდინი, სანამ სასამართლო დაადასტურებდა, რომ ოპერაცია ჩატარდა, რის შედეგადაც იგი შეძლებდა თავისი გენდერული იდენტობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, სახელის შეცვლას. აღნიშნულ მოთხოვნებს ადგენდა იმ დროისათვის მოქმედი 1982 წლის კანონი.

2011 წელს, საკანონმდებლო დადგენილების საფუძველზე განხორციელდა ცვლილება 1982 წლის კანონში, რომლის მიხედვითაც სქესის შეცვლის სამართლებრივი პროცესი გამარტივდა იმ პირებისთვის, ვისაც ჩატარებული ჰქონდათ ოპერაცია. კერძოდ, მათ აღარ მოეთხოვებათ სასამართლოს ცალკე გადაწყვეტილების მოპოვება სქესის ჩანაწერში ცვლილების შესატანად, არამედ, მოსამართლე სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის შესახებ ნებართვას გასცემს ოპერაციის ჩატარების ნებართვასთან ერთად. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესის ცვლილებისთვის ქირურგიული ჩარევა აღარ არის სავალდებულო. ამისათვის საკმარისია დადასტურება, რომ პირის გენდერული ტრანსფორმაციის პროცესი სერიოზული, ცხადი და შეუქცევადია.

პრეცედენტული სამართალი იძლევა ოფიციალურ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას, სქესის შეცვლის ოპერაციის საჭიროების გარეშე

ლიეტუვა / L. (27527/03)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 31/03/2008

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მომჩივანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა გაევლო სქესის შეცვლისთვის საჭირო ქირურგიული პროცედურა სრულად და შეეცვალა სქესი ოფიციალურ დოკუმენტებში, მოქმედი კანონმდებლობის არარსებობის გამო.

2017 წლიდან მიმდინარეობს კანონპროექტების შემუშავება, გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების ადმინისტრაციული პროცესის რეგულირების მიზნით. ეს პროცესი ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან და ევროპის საბჭოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის განყოფილებასთან თანამშრომლობით. ამასთან, 2020 წელს განათლების მინისტრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებით, ტრანსგენდერ პირებს შეუძლიათ დიპლომებსა და სერტიფიკატებში ცვლილების შეტანა თავიანთი გენდერული იდენტობის შესაბამისად. 2021 წელს, იუსტიციის სამინისტრომ დაარეგისტრირა განკარგულების შესწორების პროექტი, რომელიც ტრანსგენდერ ადამიანებს აძლევს გენდერული იდენტობის შესაბამისად სახელის შეცვლის შესაძლებლობას, ადმინისტრაციული წესით, სამედიცინო ცნობის საფუძველზე. გარდა ამისა, 2017 წლიდან მოყოლებული, ეროვნულმა სასამართლოებმა შეიმუშავეს პრეცედენტული სამართალი, რომელიც იძლევა ოფიციალური დოკუმენტების შეცვლას სქესის შეცვლის ოპერაციის გარეშეც კი. 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია აკრძალულია კონსტიტუციით.

წინადადება გენდერის სამართლებრივი აღიარების შესახებ კონვენციასთან თავსებადი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღების თაობაზე

მაკედონია / X (29683/16)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 17/04/2019

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივანის - ტრანსგენდერი პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რადგან სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სამართლებრივი პროცედურის არ არსებობის გამო, რომელიც მომჩივანს მისცემდა დაბადების მოწმობაში სქესის/გენდერის აღმნიშვნელი მარკერის შეცვლის შესაძლებლობას. შედეგად, მომჩივანი 2011 წლიდან, როდესაც მან სამოქალაქო რეესტრს შესაბამისი განაცხადი წარუდგინა, იმყოფებოდა სტრესულ მდგომარეობაში, რომელიც დაკავშირებული იყო მისი იდენტობის სამართლებრივი აღიარების გარშემო არსებულ გაურკვევლობასთან.

2020 წელს, სამოქალაქო რეესტრმა სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შეცვალა მომჩივნის სქესის მარკერი. ამას გარდა, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი ამ საკითხებზე, რისი მიზანიც იყო 2019 წელს დაგეგმილი საჯარო დებატების მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება. საჭიროა გენდერის სამართლებრივი აღიარების პირობებისა და პროცედურების მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება, რომელიც შეესაბამება ევროპის საბჭოს სტანდარტებს, განსაკუთრებით, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ. კონვენციასთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისკენ მიმართული ცვლილებები უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ. 2021 წლის 6 მაისს, ისინი განსახილველად გადაეგზავნა პარლამენტს.

სქესის შეცვლის ოპერაციის ნებართვის მისაღებად რეპროდუქციული უნარის სამუდამოდ დათრგუნვის მოთხოვნის გაუქმება

თურქეთი / Y.Y. (14793/08)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 10/06/2015

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2018)395

ევროპულმა სასამართლომ მომჩივანის (ტრანსგენდერი პირის) მიმართ დაადგინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, რადგან შესაბამისმა ორგანოებმა მას არ მისცეს სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარების ნებართვა. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის დებულებას, რომლის მიხედვითაც ასეთი ოპერაციის ნებართვის მიღების წინაპირობას წარმოადგენს რეპროდუქციული უნარის სამუდამოდ დათრგუნვა.

2016 წელს, ეროვნულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივანის ახალი განაცხადი, რომლითაც იგი სქესის შეცვლის ოპერაციის ნებართვას ითხოვდა. მომჩივანს ჩაუტარდა ოპერაცია, რის შემდეგაც მან შეიცვალა სახელი და მიიღო პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტები, რომელიც ასახავდა მის გენდერულ იდენტობას. გარდა ამისა, 2017 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსიდან ამოიღო მოთხოვნა, რომელიც სქესის შესაცვლელად ითვალისწინებდა სამუდამო სტერილიზაციის აუცილებლობას.

გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების შესახებ კანონის გამოქვეყნება

გაერთიანებული სამეფო / I. (25680/94)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 11/07/2002

და

გაერთიანებული სამეფო / Christine Goodwin (28957/95)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 11/07/2002

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2011)175

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, ასევე ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლების დარღვევა. ეს დარღვევა უკავშირდებოდა სახელმწიფოს მიერ ტრანსგენდერი მომჩივნებისთვის სქესის სამართლებრივ აღიარებაზე უარს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩაუტარდათ ქირურგიული ოპერაცია. გარდა ამისა, მომჩივანთათვის შეუძლებელი იყო იმ პირებზე დაქორწინება, რომლებიც მათი ახალი გენდერის საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები იყვნენ, რაც დამატებით არღვევდა მათ უფლებებს.

2005 წლის „გენდერის აღიარების აქტი“ ტრანსგენდერ პირებს, რომლებმაც გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯები იმისათვის, რომ თავიანთი ახალი გენდერული იდენტობით იცხოვრონ სრულფასოვნად და მუდმივად, საშუალებას აძლევს, მიიღონ ამ იდენტობის სამართლებრივი აღიარება. ამ კანონის საფუძველზე შექმნილია გენდერის აღიარების კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს გენდერული იდენტობის აღიარების მოთხოვნით წარდგენილ განაცხადებზე. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისია გასცემს გენდერული იდენტობის აღიარების სერტიფიკატს, რის შემდეგაც პირს ეძლევა უფლება დაქორწინდეს საპირისპირო სქესის წარმომადგენელზე.

4. სოციალურ უფლებებზე წვდომა ლგბტი პირებისთვის

თანაბარი წვდომა ჯანმრთელობის გაფართოებულ დაზღვევაზე წყვილებისთვის, მათი სქესის მიუხედავად

ავსტრია / P.B. და J.S. (18984/02)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 22/10/2010

საბოლოო დადგენილება: CM/ResDH(2011)42

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ერთნაირსქესიანი წყვილის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რადგან პირველ მომჩივანს უარი ეთქვა ჯანმრთელობის დაზღვევის გაფართოებაზე, რათა მისი დაზღვევით მეორე მომჩივანსაც ესარგებლა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დამოკიდებულ პირად ითვლება მხოლოდ დაზღვეული პირის ახლო ნათესავი ან საწინააღმდეგო სქესის ადამიანი, რომელიც მასთან თანაცხოვრებაშია. მანამ, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კანონმდებლობაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც გაუქმდა ერთნაირსქესიანი და საწინააღმდეგო სქესის წყვილების განსხვავებული მოპყრობა. შედეგად, მომჩივნები აღარ დაექვემდებარნენ განსხვავებულ მოპყრობას ჯანმრთელობის დაზღვევის გაფართოებასთან დაკავშირებით.

სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება

შვეიცარია / Schlumpf (29002/06)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 05/06/2009

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2011)161

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში განხორციელდა არაპროპორციული ჩარევა. კერძოდ, მომჩივანს სადაზღვევო კომპანიამ უარი უთხრა სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებაზე, რადგან მან არ შეასრულა ორწლიანი დაკვირვების სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც პრეცედენტული სამართლით არის დადგენილი და ოპერაციის ხარჯების ასანაზღაურებლად აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. აღნიშნული ორწლიანი დაკვირვების მოთხოვნა არ ითვალისწინებდა მომჩივნის ასაკს (67), რის გამოც საფრთხეს უქმნიდა მომჩივნის თავისუფლებას, განესაზღვრა საკუთარი გენდერული იდენტობა.

2005 წელს, გადაწყვეტილების მიღებამდე, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა მისი სქესის ცვლილებას. 2010 წელს, ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ორწლიანი მოცდის პერიოდი, რომელიც ეროვნულ დონეზე არსებული სასამართლო პრაქტიკით არის დადგენილი, ზოგადად, უნდა არსებობდეს, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური შეფასების ჩატარება და სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებაზე პირს ავტომატურად არ უნდა ეთქვას უარი მხოლოდ იმიტომ, რომ მან ორწლიანი მოცდის წინაპირობა ვერ შეასრულა.

გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარება სოციალური უზრუნველყოფისა და შემწეობის მისაღებად

გაერთიანებული სამეფო / Grant (32570)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 23/08/2006

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2011)173

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა. კერძოდ, მომჩივანი იყო ტრანსგენდერი ქალი, რომელმაც სქესის შეცვლის ოპერაცია ჩაიტარა, ხოლო 1997 წელს, როდესაც იგი 60 წლის იყო, უარი უთხრეს პენსიის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა პენსიის მიღების უფლება მანამ, სანამ არ მიაღწევდა მამაკაცებისთვის დადგენილ საპენსიო ასაკს - 65 წელს.

დარღვევის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისთვის, მომჩივანზე გაიცა გენდერის აღიარების სერტიფიკატი და მან, როგორც ქალმა, შეძლო სახელმწიფო პენსიის მიღება. ამას გარდა, გენდერის აღიარების 2005 წლის აქტი ითვალისწინებს ტრანსგენდერი პირების შეძენილი გენდერის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სოციალური უზრუნველყოფის და სახელმწიფო პენსიის მიღება, მას შემდეგ, რაც გაიცემა გენდერის აღიარების სერტიფიკატი.

5. ჰომოსექსუალი პირები შეიარაღებულ ძალებში

ჰომოსექსუალი პირებისთვის სამხედრო სამსახურის აკრძალვის გაუქმება

გაერთიანებული სამეფო / Smith and Grandy (33985/96)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 27/12/1999

საბოლოო რეზოლუცია: ResDH(2002)35

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივანთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა. კერძოდ, განხორციელდა მოკვლევა მათი ჰომოსექსუალურობის შესახებ, რის შედეგადაც ისინი დაითხოვეს სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებიდან, იმ პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ჰომოსექსუალებს უკრძალავს სამხედრო სამსახურს დიდ ბრიტანეთში. ამასთან, ეროვნულ დონეზე არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება.

2000 წელს, ევროპული სასამართლოს მიგნებების საპასუხოდ, მიღებული იქნა ზომები, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ეს ზომები მოიცავდა შეიარაღებულ ძალებში სოციალური ქცევის კოდექსის მიღებას, რომლითაც გაუქმდა ჰომოსექსუალებისთვის სამხედრო სამსახურის აკრძალვა. ქცევის კოდექსი ვრცელდება შეიარაღებული ძალების ყველა წევრზე, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, რანგისა თუ სტატუსის მიუხედავად. ამას გარდა, იგი შეესაბამება შევიწროების, დისკრიმინაციის და ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ასევე, ხელმძღვანელი ოფიცრების მიერ გამოიცა ინსტრუქციები, რომლებიც განმარტავს ქცევის კოდექსს და იძლევა კონკრეტულ მითითებებს ქცევის კოდექსის გამოყენებასთან დაკავშირებით.

6. ერთნაირსქესიანი წყვილები და სამოქალაქო კავშირის შესახებ კანონები

კანონმდებლობა, რომელიც აღმოფხვრის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უთანასწორო მოპყრობას

საბერძნეთი / Vallianatos და Mylonas (29381/09)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 07/11/2013

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2016)275

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის კანონი, რომლის თანახმადაც მხოლოდ საპირისპირო სქესის წყვილებს აქვთ სამოქალაქო კავშირში ყოფნის უფლება იყო დისკრიმინაციული ერთნაირსქესიანი წყვილების მიმართ, რადგან მისი მიზანი იყო სხვა არაოჯახური კავშირების აღიარება, თუმცა, მისი მოქმედების სფეროდან უსამართლოდ გამორიცხავდა ერთნაირსქესიან წყვილებს.

აღნიშნული მიგნებების პასუხად, 2015 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც: „ორ ზრდასრულს შორის შეთანხმება, მათი სქესის მიუხედავად, რომელიც არეგულირებს მათი, როგორც წყვილის ან სამოქალაქო კავშირში მყოფი პირების ცხოვრებას, უნდა გაფორმდეს ნოტარიულად, მხარეთა დასწრებით (...)“. ამ ცვლილებით, კანონმა გააუქმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა და ყველა მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა გაათანაბრა, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა.

კანონი, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო კავშირს და წყვილთა თანაცხოვრებას, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად

იტალია / Oliari და სხვები (18766/11)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 21/10/2015

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2017)182

ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სამი ერთნაირსქესიანი წყვილის უფლებების შესახებ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ კანონი მათ არ აძლევდა დაქორწინების ან რაიმე სხვა სახის სამოქალაქო კავშირის ფორმირების უფლებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაცვა, რომელსაც კანონი ითვალისწინებს ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის ვერ აკმაყოფილებს სტაბილურ ურთიერთობაში მყოფი წყვილის საბაზისო საჭიროებებს.

შედეგად, 2016 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელიც არეგულირებს ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო კავშირს და თანაცხოვრებას ყველასათვის. კანონი ადგენს თანაცხოვრებაში მყოფი ჰეტეროსექსუალი და ჰომოსექსუალი პირების სტატუსს და მხოლოდ ჰომოსექსუალი წყვილების შემთხვევაში ითვალისწინებს სამოქალაქო კავშირს, რომელსაც ეწოდება „სპეციფიკური სოციალური ფორმირება.“ კანონი ითვალისწინებს საერთო გვარის ქონას, ორმხრივი მორალური და მატერიალური დახმარების გაწევის ვალდებულებას, ბინადრობის ნებართვას უცხოელი მეუღლისთვის და მეუღლის გვარის მიღების შესაძლებლობას, სხვა უფლებებთან ერთად. ასევე, შესაძლებელია შვილად აყვანის შესახებ განცხადებების წარდგენა, რომლებიც ინდივიდუალურად განიხილება.

7. საცხოვრებელის და კერძო და ოჯახური ცხოვრების უფლება

კანონმდებლობა, რომელიც ბინადრობის ნებართვას აძლევს ერთნაირსქესიანი მქონე პარტნიორებს ან წყვილებს

ხორვატია / Pajić (68453/13)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 23/05/2016](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(201)387](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, მდედრობითი სქესის წყვილის მიმართ, რომელთაც უარი ეთქვათ ბინადრობის ნებართვაზე. აღნიშნულის პასუხად, 2003 წლის „ერთნაირსქესიანი ადამიანების პარტნიორობის აქტი“ ჩანაცვლდა 2014 წლის აქტით. აღნიშნული აქტი ერთნაირსქესიან პარტნიორობაში (ან სამ წელზე მეტი ხნის არაფორმალურ პარტნიორობაში) რეგისტრირებულ ან ერთნაირსქესიან ქორწინებაში მყოფ ადამიანებს საშუალებას აძლევს, მოითხოვონ ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების საფუძველზე, ადმინისტრაციული წესით, რისთვისაც მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა მიმართონ.

ერთნაირსქესიანი ადამიანების ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება და ერთნაირსქესიანი პარტნიორებისთვის საოჯახო მიზნებისთვის ბინადრობის ნებართვის მიღების უფლების მინიჭება

იტალია / Taddeucci და MC Call (51362/09)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 30/09/2016](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2018)125](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მომჩივნების უფლება, არ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. კერძოდ, მომჩივნებს უარი უთხრეს ბინადრობის ნებართვაზე. კერძოდ, იმის გამო, რომ ისინი ერთნაირსქესიან წყვილს წარმოადგენენ, ვერ იქნებიან ოჯახის წევრებად მიჩნეულები, ხოლო ბინადრობის ნებართვის მიღება მხოლოდ საპირისპირო სქესიან წყვილებს აქვთ.

2016 წელს მიღებული იქნა კანონი „სტაბილური ჰომოსექსუალი წყვილების სამოქალაქო კავშირის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ აღიარებას და უცხოელ პარტნიორს აძლევს ბინადრობის ნებართვის მიღების შესაძლებლობას, ოჯახური მიზნებისთვის. 2010 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოს აღიარებული აქვს ერთნაირსქესიანი წყვილების ქორწინება. 2012 წელს, საკასაციო სასამართლომ დაადასტურა ერთნაირსქესიანი წყვილების შესაძლებლობა, ისარგებლონ იგივე უფლებებით, რითაც სარგებლობენ ჰეტეროსექსუალი წყვილები.

8. შვილად აყვანის უფლება

სამოქალაქო კანონში შესწორების შეტანა, რათა ერთნაირსქესიან წყვილებს ჰქონდეთ მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანის (co-parent adoption) უფლება

ავსტრია / X და სხვები (19010/07)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 19/02/2013](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2014)159](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევა მომჩივნების მიმართ. კერძოდ, სტაბილურ ერთნაირსქესიან ქორწინებაში მყოფი ორი ქალი აცხადებდა, რომ სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ერთ-ერთის მოთხოვნა შვილად აეყვანა თავისი პარტნიორის შვილი, ისე, რომ არ გაწყვეტილიყო სამართლებრივი კავშირები დედასა და შვილს შორის (მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანა).

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუქორწინებელი ჰომოსექსუალი წყვილების და ჰეტეროსექსუალი წყვილების განსხვავებული მოპყრობა, როდესაც ერთ-ერთს სურს მეორის შვილის შვილად აყვანა, ეფუძნებოდა სექსუალურ ორიენტაციას. 2013 წელს, სამოქალაქო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის შედეგადაც დასაშვები გახდა მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანა ერთნაირსქესიანი წყვილების შემთხვევაში. ახალი დებულებები, ასევე, ვრცელდება შვილად აყვანის ხელშეკრულებებზე, რომლებიც 2013 წლის აგვისტომდე დაიდო.

თანმიმდევრული გამოყენება კანონმდებლობისა, რომელიც ითვალისწინებს 28 წლის გადაცილებული ყველა დაუქორწინებელი პირის მიერ შვილად აყვანის უფლებას

საფრანგეთი / E. B. (43546/02)

[საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 22/01/2008](#)

[საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2009)80](#)

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის სექსუალური ორიენტაცია წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს, რომლის საფუძველზეც შესაბამისმა უწყებამ უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება შვილად აყვანის თაობაზე. საფრანგეთის კანონი მარტოხელა ადამიანს ანიჭებს შვილად აყვანის უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ შვილად აყვანის უფლება მარტოხელა ჰომოსექსუალებსაც აქვთ.

ხელისუფლების თანახმად, კანონი არასწორად იქნა გამოყენებული, რადგან შვილად აყვანის უფლება აქვს ნებისმიერ დაუქორწინებელ პირს, რომლის ასაკიც 28 წელზე მეტია. ამას გარდა, ადმინისტრაციული მოსამართლეები, რომლებიც უშუალოდ იყენებენ კონვენციას, სრულად არიან ინფორმირებულები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ამრიგად, ხელისუფლების დასკვნით, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მსგავსი საჩივრების განხილვისას დაუშვებელია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების უგულებელყოფა. გადაწყვეტილება გაეგზავნა გენერალური საბჭოების შესაბამის დეპარტამენტებს და სასამართლოებს, რომლებიც შვილად აყვანის საქმეებს განიხილავენ.

9. მშობლის უფლებამოსილება და ბავშვების მეურვეობა

მშობლის უფლებამოსილების და ბავშვების მეურვეობის შესახებ სამართლებრივი დებულებების იმგვარად ინტერპრეტაციის მოვალეობა, რაც არ ითვალისწინებს სექსუალურ ორიენტაციას და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს

ჰორტუგალია / Salgueiro Da Silva Mouta (33290/96)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 21/03/2000

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2007)89

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია მისი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. კერძოდ, 1996 წელს სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მათი 1987 წელს დაბადებული ქალიშვილის მეურვეობის უფლება მიენიჭა მომჩივნის ყოფილ ცოლს. სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადად ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მომჩივანი ჰომოსექსუალი იყო და ასევე, იმ არგუმენტს, რომ „ბავშვი უნდა იზრდებოდეს ტრადიციულ პორტუგალიურ ოჯახში.“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ამგვარი განსხვავებული მოპყრობა კონვენციას ეწინააღმდეგება.

1999 წელს, მომჩივანმა ეროვნულ სასამართლოებში ახალი სააპელაციო განაცხადი შეიტანა, რის შედეგადაც მეურვეობის საკითხი ხელახლა განიხილეს. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის უშუალო მოქმედების პრინციპის შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვთა ინტერესები უნდა შეაფასონ ისე, რომ არ გამოიყენონ არგუმენტები, რომლებიც კონვენციას ეწინააღმდეგება. ამას გარდა, სასამართლოებმა შესაბამისი დებულებები, კერძოდ, მშობლის უფლებამოსილებისა და მეურვეობის უფლებების შესახებ დებულებები უნდა განმარტონ იმგვარად, რომ სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული მსგავსი დარღვევები.

10. ბავშვის ალიმენტი

კანონი, რომლის თანახმადაც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, ერთნაირსქესიანი ურთიერთობები ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების თანასწორად უნდა იქნას განხილული

გაერთიანებული სამეფო / J.M. (37060/06)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 28/12/2010

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2012)231

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ბავშვისთვის ალიმენტის გადახდას არეგულირებდა, დისკრიმინაციული იყო ერთნაირსქესიანი პარტნიორების მიმართ. საქმის განხილვისას დადგინდა, რომ მომჩივანი, რომელიც განქორწინებული იყო, ვალდებული იყო დაეფარა შვილების განათლების ხარჯები. თუმცა, გადასახდელი თანხა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ თანხისგან, რომლის გადახდაც მოუწევდა იმ შემთხვევაში მამაკაცთან ერთად რომ ეცხოვრა. აღნიშნული მიდგომა სასამართლომ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციად მიიჩნია.

ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, 2004 წელს სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ კანონის მიღებით, კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ერთნაირსქესიანი ურთიერთობები გათვალისწინებული უნდა იქნას საპირისპირო სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობების თანასწორად და აღნიშნული ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, როგორსაც ეხება მომჩივნის საქმე.

11. ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით გადაცემა

ისეთი კანონმდებლობის და პრეცედენტული სამართლის მიღება, რომელიც ითვალისწინებს ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით გადაცემას ერთნაირსქესიანი წყვილების შემთხვევაში, ქორწინების წინაპირობის გარეშე

ჰოლონეთი / Kozak (13102/02)

საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 02/06/2010

საბოლოო რეზოლუციის თარიღი: CM/ResDH(2013)81

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი დაექვემდებარა დისკრიმინაციას, რადგან 1998 წელს მისი პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ, მას უარი ეთქვა ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით გადაცემაზე, მისი სექსუალური ორიენტაციის გამო. 1989 წლის შემდეგ, მომჩივანი პარტნიორთან ერთად იმყოფებოდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში. ისინი ცხოვრობდნენ ბინაში, რომელსაც მისი პარტნიორი ქირაობდა. პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივანმა წარადგინა განცხადება და ითხოვა ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით მიღება, თუმცა, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა 1994 წლის კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით მიღებისთვის ქორწინება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას.

1994 წლის კანონი ჩაანაცვლა 2001 წელს მიღებულმა კანონმა, რის შემდეგაც წესები, რომლებიც არეგულირებს ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით გადაცემას სამოქალაქო კოდექსში იქნა შეტანილი, რათა დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირმა, რომელიც de facto ცხოვრობდა ბინაში, შეძლოს ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით მიღება. მანამდე მოქმედი კანონისგან განსხვავებით, არსებული კანონი არ ითვალისწინებს ქორწინებას, როგორც აუცილებელ წინაპირობას. ამას გარდა, უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის რეზოლუციაში მოახდინა ქირავნობის ხელშეკრულების მემკვიდრეობით მიღების უფლების რატიფიცირება ერთნაირსქესიანი წყვილების შემთხვევაში და აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

საქმეთა ინდექსი

ავსტრია / L. et V.....6
ავსტრია / P.B. et J.S.....14
ავსტრია / S.L.....6
ავსტრია / X et autres.....18
გაერთიანებული სამეფო / A.D.T. 5
გაერთიანებული სამეფო / B.B.....6
გაერთიანებული სამეფო / Christine Goodwin.....13
გაერთიანებული სამეფო / Dudgeon.....5
გაერთიანებული სამეფო / Grant.....14
გაერთიანებული სამეფო / I.....13
გაერთიანებული სამეფო / J.M.....20
გაერთიანებული სამეფო / Smith et Grady.....15
თურქეთი / Y.Y.....13
ირლანდია / Norris.....4
იტალია / Oliari et autres.....16
იტალია / S.V.....11
იტალია / Taddeucci et MC Call.....17
კვიპროსი / Modinos.....4
ლიეტუვა / L.....12
მაკედონია / X.....12
მოლდოვა / Genderdoc-M.....7
პოლონეთი / Baczkowski et autres.....8
პოლონეთი / Kozak.....21
პორტუგალია / Salgueiro Da Silva Mouta.....19
რუმინეთი / M.C. et A.C.....8
სლოვენია / Mladina D.D. Ljubljana.....9
საბერძნეთი / Vallianatos et Mylonas.....16
საფრანგეთი / A.P., Garçon et Nicot.....10
საფრანგეთი / B.....10
საფრანგეთი/ E.B.....18
საქართველო / Identoba et autres.....7
შვეიცარია/ Schlumpfc.....14
ხორვატია / Pajić.....17